შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

განათლებისდაჰუმანიტარულმეცნიერებათაფაკულტეტი

ამერიკისმცოდნეობის პროგრამა

ქალის როლი ტრადიციული ამერიკული ოჯახის ტრანსფორმაციაში და შედარება ქართული ოჯახი სტრუქტურის ცვლილებებთან (1960-2010)

სალომე გოგბერაშვილი

სადოქტორო დისერტაცის ავტორეფერატი ამერიკისმცოდნეობაში

თბილისი, 2018

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ირინა ბახტაძე

პროფესორი, დოქტორი, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

(ხელმძღვანელის ხელმოწერა)

ექსპერტები (სახელი,გვარი& აკადემიურიწოდება):

1. ირმა მესირიძე, ასოცირებული პროფესორი, დოქტორი
2. თამარ კიკნაძე, პროფესორი, დოქტორი

ოპონენტები (სახელი, გვარი& აკადემიურიწოდება):

1. ია იაშვილი, ასოცირებული პროფესორი, დოქტორი
2. ერეკლე ასტახიშვილი, პროფესორი, დოქტორი
3. მილენა ოგანესიანი, დოქტორი

შესავალი

ოჯახი ყოველთვის წარმოადენდა მნიშვნელოვან ინსტიტუტს ყველა ქვეყანაში, მათ შორის ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საქართველოში. თუმცაღა ერთ დროს სტაბილურმა ოჯახის ინსტიტუტმა 1960-იანი წლებიდან მოყოლებული მრავალი ცვლილება განიცადა ამერიკაში და დღესაც განაგრძობს განვითარებას, ფორმირებასა და განახლებას. 1960 წლების ტრადიციული ამერიკული ოჯახი, რომელიც შედგებოდა დედის, მამის და რამოდენიმე შვილისაგან მკაცრად გადანაწილებული გენდერული როლით, რომლის მხიედვიდაც მამა წარმოადგენდა ოჯახის მარჩენალს ხოლო დედა დიასახლის, შესამჩნევად შეიცვალა და დღესდღეობით აბსოლიტურად განსხვავებულ სურათს წარმოადგენს.

ერთ ერთი თვალშისაცემი ცვლილება, რომელიც ამერიკულმა ოჯახმა განიცადა ბოლო ათწლეულების მანძილზე, არის ქორწინების რიცხვის კლება და მისი მნიშვნელობის დაკნინება. მოხდა ქორწინების ინსტიტუტის დაკნინება და მისი ჩანაცვლება ურთიერთობის ახალი ისეთი ახალი საშუალებებით როგორიცაა მაგალითად კოჰაბიტაცია, როდესაც კაცი და ქალი ქორწინების გრეშე თანაცხოვრობენ, რომელიც უფრო და უფრო ინსტუტუციურ სახეს იძენს. აგრეთვე აღსანიშნავია დაშორების და განქორწინების რიცხვის მკვეთრი ზრდა.

მკვეთრად გაიზარდა ქორწინების გარეშე შობადობის რიცხვი, რომელიც 1960-იან წლებში შეადგენდა მხოლოდ 5 პროცენტს ხოლო 2012 წელს ამ რიცხვმა 40 პროცენტს მიაღწია. აგრეთვე აღინიშნება ცვლილება ოჯახში მკაცრად განსაზღვრულ გენდერულ როლებში. თუმცაღა ყველაზე რადიკალურ ცვლილებას წარმოადგენს ამერიკის უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც უფლებას აძლევს ერთსქესიან წყვილებს იქორწინონ ამერიკის 50 -ივე შტატში.

ტრადიციული ოჯახის და ოჯახთან მიმართებაში საზოგადოების აზრის ცვლილებები აღინიშნება საქართველოს შემთხვევაშიც, თუმცა ცვლილებები არაა ისეთი რადკალური და თვალშისაცემი როგორც ამერიკის შემთხვევაში. ისტორიულად საქართველო

ხასიათდებოდა მაღალი ქორწინების და ძალიან დაბალი კოჰაბიტაციის ანუ ქოტწინების გარეშე თანაცხოვრების დონით, რადგან ქორწინება განიხილებოდა როგორც ერთადერთი გზა ინტიმური ურთიერობისათვის. მიუხედასვად იმისა, რომ საზოგადოების აზრი საკმაოდ შერბილდა ქორწინების და ქორწინების გარეშე ურთიერთობების მიმართ, ქორწინების დონე მაინც საკმაოდ მაღალია საქართველოში. აღინიშნება განქორწინების და რეგისტრირებული ქორწინების გარეშე შობადობის მკვეთრი ზრდაც.

პრობლემის დასმა: ბოლო ხანებში მკვლევარებმა და მედია წარმომადგენლებმა ღიად დაიწყეს საუბარი ქორწინების ინსტიტუტის დაკნინებასა და მის „დეინტსტიტუციონალიზაციაზე“ (ინსტუტუციური სახის დაკარგვა) ამერიკაში. სტატისტიკის თანახმად საგრძნობლად შემცირდა ქორწინების დონე ისევე როგორც შობადობის რიცხვი, რამაც გამოიწვია დემოგრაფიული პრობლემები. მკვეთრად გაიზარდა კოჰაბიტაციის, განქორწინებისა და მარტოხელა მშობლების რიცხვი. ოჯახის ტრანსფორმაცია და ტრადიციული ოჯახის დაკნინება მრავალ პრობლემას იწვევს, როგორიცაა სტრესი და ფსიქოლოგიური პრობლემები ბავშვებში, დეპრესია ქწვილებში, აბორტების და მარტოხელა მშობლების რაოდენობის ზრდა. შედეგად მკვლევარები, მწერლები, საზოგადო მოღვაწეები და პოლიტიკოსები ცდილობენ მოსახლეობის ყურადღების მიქცევას ამ მწვავე პრობლემებზე.

კვლევის მიზანი: მოცემული კვლევის მიზანია გააანალიზოს ისეთი პრობლემები როგორიცაა ტრადიციული ამერიკული ოჯახის ინსტიტუტის დაკნინება, ცვლილებები და მათი შესაძლო გამომწვევი მიზეზები 1960-2010-იან წლებში. კვლევა აგრეთვე მიზნად ისახავს განიხილოს ტრადიციული ქართული ოჯახები და მათი მიერ განვლილი ცვლიებები და მოახდინოს მათი შედარება ამერიკული ოჯახებთან იმავე პერიოდში.

კვლევის ერთ-ერთი მთავარი მიზანია იპოვოს კავშირი ქალის სოციო-ეკონომიკურ და პოლიტიკურ გაძლიერებასა და ტრადიციული ამერიკული და ქართული ოჯახების მოდელის ცვლილებებს შორის.

კვლევის საკითხები: მოცემული კვლევის მიზანია უპასუხოს შემდეგ შეკითხვებს:

1. რა ცვლილებები განიცადა ტრადიციულმა ამერიკულმა ოჯახმა 1960-იანი წლებიდან მოყოლებული?
2. რა ცვლილებები გადაიტანა ტრადიციულმა ქართულმა ოჯახმა 1960-იანი წლებიდან და არის თუ არა ეს ცვლილებები ამერიკული ოჯახის ცვლილებების მსგავსი?
3. როგორ ხვდება ამერიკული საზოგადოება ტრადიციული ოჯახის მოდელის ცვლილებას?
4. როგორია ქართული საზოგადოების დამოკიდებულება ტრადიციული ოჯახის ცვლილებების მიმართ?

ჰიპოტეზა: მიმდინარე პოლიტიკურმა და სოციო-ეკონომიკურმა ცვლილებებმა , რომელსაც თან სდევდა ბოლო 50 წლის მანძილზე ქალთა განთავისუფლება და გაძლიერება, მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა ტრადიციული ოჯახზე და გამოიწვია მისი საგრძნობლად შეცვლა. ქალები, რომლებმაც მოიპოვეს პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური დამოუკიდებლობა და დაწინაურდნენ თითქმის ყველა სფეროში, იქცნენ თანამედროვე ოჯახის მნიშვნელოვან მამოძრავებელ ძალად და ამავდროულად მოგვევლინენ როგორც ტრადიციული ოჯახის ინსტუტუტის დაკნინებისა და ტრანსფორმაციის მთავარი ფიგურები ორივე სამიზნე ქვეყანაში, ამერიკასა და საქართველოში.

სიახლე: ჯერ არ ჩატარებულა კვლევა, რომელიც შეისწავლის ტრადიციული ამერიკული ოჯახის ტრანსფორმაციის პრობლემას და ახდენს მის შედარებას ქართულ ოჯახთან. კვლევა წარმოადგენს ტრადიციული ამერიკული ოჯახის ჰოლისტიკურ სურათს ისტორიულ ჭრილში (სინქრონიაში), განიხილავს ცვლილებებს თანამედროვე

გენდერული თეორიების და სოციო-ეკონომიური განვითარების კუთხით და ახდენს მის შედარებას ქართულ ოჯახთან და მის ცვლილებებთან. დისერტაცია ადარებს ორივე ქვეყნის სტატისტიკურ მონაცემებს, ავლენს მსგავს ცვლილებებს, თანამედროვე ტენდენციებს და წარმოაჩენს მსაგავსებებს ქართული და ამერიკული ოჯახის სტრუქტურასა და თვისებებში. პირველად ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ქალთა წინსვლა საზოგადოებრივი და სოცუალირი ცხოვრების ყველა სფეროში არის აღწერილი, გაანალიზებული და დაკავშირებული ოჯახის ცვლილებებთან.

აქტუალობა: ქორწინება წარმოადგენდა ღირებულ და მნიშვნელოვან ინსტიტუტს ორივე სამიზნე ქვეყანაში და განიხილებოდა როგორც ოჯახის განუყოფელი ნაწილი. თუმცაღა, ქორწინების ინსტიტუტის დაკნინება და მისი ჩანაცვლება სხვა სახის ურთიერთობებით, ღიადაა აღიარებული მკვლევარების, მედია წარმომადგენლების და პოლიტოსების მიერ და წარმოადგენს მწვავე საკითხს. მრავალი მკვლევარი თუ სახელმწიფო წარმომადგენელი ამჟღავნებს თავის შეშფოთებას ისეთ საკითხებთან დაკავშირებით როგორიცა აქორწინების და შობადობის კლება და განქორწინების და ქორწინების გარეშე შობადობის ზრდა. საქართველოს შემთხვევაში კი განსაკუთრებული შეშფოთების საგნად იქცა ერთსქესიან წყვილთა რაოდენობის ზრდა.

ერთ-ერთ სოციალურ პრობლემას წარმოადგენს მარტოხელა დედების რაოდენობის ზრდაც, რომელთაც გარკვეულ შემთხვევებში სჭირდებათ სოციალური და ფინანსური დახმარება ოჯახის წევრების, საზოგადოების და სახელმწიფოს მხრიდან. ქართული ოჯახი, ამერიკულის მსგავსად, საგრძნობლად შეიცვალა ბოლო რამდენიმე ათწლეულის მანძილზე. იქიდან გამომდინარე რომ ქართული ოჯახის ცვლილბებში აღინიშნება ამერიკული ოჯახის ცვლილებების მსგავსი ტენდეციები, ამერიკული ოჯახის შესწავლა, იმისათვის რომ ინახოს მომავალი ქართული ოჯახის სავარაუდო სურათი, უნდა იყოს საინტერესო და გამოსადეგი რათა იდენტიფიცირება მოხდეს შესაძლო პრობლემების და სავარაუდო შედეგების.

მწვავე საჭიროებას წარმოადგენს ოჯახთან დაკავშირებული პრობლემების ხაზგასმა და ცვლილებების შესაძლო მიზეზების პოვნა ორივე, ქართულ და ამერიკულ სამეცნიერო ლიტერატუაში.

თეორიული მნიშვნელობა: ქალის სოციო-ეკონომიურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში წინსვლა განხილულია თანამედროვე გენდერულ, კერძოდ კი ფემინისტურ თეორიაზე დაყრდნობით. პირველად წყაროზე დაყრდობით (რომელიც მოპოვებულია კითხვარის შედეგად) თეზისი განავრცობს უკვე არსებულ თეორიას და აქცენტს აეხდენს ქალის როლის გაძლიერებაზე ოჯახში.

პრაქტიკული მნიშვნელობა: მიმდინარე კვლევა წარმოადგენს ღირებულ ნაშრომს იმ სოციოლოგების, არასამთავრობო და სახლმწიფო სექტორის წარმომადგენლების, მკვლევარების, მასწავლებლებისა და სტუდენტებისათვის რომლებიც მუშაობენ დემოგრაფიულ პრობლემებზე ორივე სამიზნე ქვეყანაში (ამერიკა და საქართველო). კვლევა დაეხმარება მათ მოიპოვონ სანდო დემოგრაფიული მონაცემები ორივე სამიზნე ქვეყნიდან რათა დაინახონ არსებული დემოგრაფიული დმგომარეობის და ტენდენციების რეალური სურათი და ფოკუზირება მოახდინონ ისეთ დემოგრაფიულ პრობლემებზე როგორიცაა ქორწინების და შობადობის კლება. მიმდინარე კვლევა ასევე გამოსადეგი შეიძლება აღმოჩნდეს იმ არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებისა თუ მკვლევარებისათვის, რომლებიც მუშაობენ ისეთ უმცირესობის თემებზე როგორიცაა სექსუალური უმცირესობები. ამ საკითხთან დაკავშირებით განსაკუთრებით გამოსადეგი შეიძლება გამოდგეს მიმდინარე კვლევა საქართველოს შემთხვევაში, სადაც სექსუალური უმცირესობის წარმომადგენლები ჯერ კიდევ განიცდიან დისკრიმინაციას რადგან თემაში აღწერილია ამერიკაში სექსუალური უმცირესობების პრობლემები წარსულში და ის განვლილი გზა რის შედეგადაც დღესდღეობით ისინი არიან თანამედროვე ამერიკული საზოგადოების სრულფასოვანი წევრები. კვლევა შეიძლება საინტერესო აღმოჩნდეს იმ არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებისათვის, რომლებიც მუშაობენ ქალთა საკითხებზე რადგან ის აღწერს

და აანალიზებს ქალთა წინსვლას ორივე ქვეყნის სოციო-ეკონომიურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში.

კვლევა დაფუძნებულია გენდერულ, კერძოდ კი ფემინისტურ თეორიაზე.

კვლევის მეთოდი: კვლევისათვის გამოყენებულია ორივე, თვისობრივი და რაოდენობრივი კვლევა. თვისობრივი კვლევა გამოყენებულია ტრადიციული ოჯახის ცვლილებების გასაანალიზებლად და ქალის როლის დასაკავშირებლად ამ ცვლილებებთან მრავალი მკვლევარის და ექსპერტის ნაშრომებზე დაყრდნობით. რაოდენობრივი კვლევა გამოყენებული იქნა რათა თვალნათლივ იქნას დანახული ის ცვლილებები რაც განიცადეს ტრადიციულმა ოჯახებმა ორივე სამიზნე ქვეყანაში, ამერიკასა და საქართველოში, 1960-იანი წლებიდან მოყოლებული. კვლევაში ფართოთთაა გამოყენებული სანდო სტატისტიკური მონაცემები ისეთი წყაროებიდან როგორებიცაა საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური და აშშ-ის სტატისტიკური აღწერის ბიურო, ისევე როგორც ექსპერტებისა და მკვლევარების ნაშრომები. სტატისტიკური მონაცემები აგრეთვე ფართოთაა გამოყენებული რათა ნაჩვენები იქნას კავშირი ქალის სოციო-ეკონომიურ და პოლიტიკურ წინსვლასა და ოჯახში არსებულ ცვლილებებს შორის.

გარდა მეორადი წყაროებისა, კვლევა დარყრდნობილია პირველად წყაროზეც, რომელიც მოპოვებული იქნა ელექტპრონულად შექმნილი კითხვარის შედეგად 46 ამერიკალი და 46 ქართველი რესპოდენტებისაგან. კითხვარის შედეგად მოპოვებული იქნა რესპოდენტების დემოგრაფიული სტატისტიკა და ინფორმაცია მათ დამოკიდებულებაზე ოჯახთან დაკავშირებულ საკითხების მიმართ.

ეს არის შედარებითი კვლევა, რადგან ის ახდენს 19 საუკუნის ამერიკული და ქართული ოჯახების შედარებას თანამედროვე ოჯახებთან და ამავდროულად ადარებს ამერიკულ და ქართულ ოჯახებს ერთმანეთთან და ავლენს მსგავსებებს და თანამედროვე ტენდენციებს.

ნაშრომი აგრეთვე წარმოადგენს ისტორიულ კვლევას (რადგან ორიენტირებულია ოჯახის განვითარების ისტორიულ დინამიკაზე) და შესაძლოა განიხილოს როგორც აღწერითი კვლევაც, რადგან ის აღწერს ამერიკულ და ქართულ ოჯახებს წარსულსა და აწმყოში.

დისერტაციის საზღვრები: მიმდინარე ნაშრომი ორიენტირებულია ტრადიციული ოჯახის ცვლილებებზე ამერიკასა და საქართველოში 1960-2010-იან წლებში და ყურადღებას ამახვილებს ქალის როლზე ოჯახის ტრანსფორმაციის პროცესში.

ტრადიციული ოჯახი მრავალმხრივ შეიცვალა, თუმცა ნაშრომი ორიენტირებულია ისეთ საკითხებზე როგორიცაა ქორწინების ინსტიტუტი, კოჰაბიტაცია (ქორწინების გარეშე თანაცხოვრება), განქორწინება, ქორწინების გარეშე შობადობა და გენდერული როლები ოჯხაში. ნაშრომში მოხსენებულია ერთსქესიანთა ურთიერთობაც თუმცა არაა აქცენტირებული. ნაშრომის მიზანი არაა განიხილოს ოჯახის ტრანსფორმაციის ზეგავლენა ბავშვებზე და მის ფსიქოლოგიურ შედეგებზე.

დისერტაციის სტრუქტურა: დისერტაცია შედგება შემდეგი ნაწილებისაგან: შესავალი, 4 თავი, დასკვნა, რეკომენდაციები და დანართი. მოიცავს 43 ფიგურას და 2 ცხრილს.

თავი 1. ფემინიზმის და ფემინისტური თეორიის ლიტერატურული მიმოხილვა; ტრადიციული ამერიკული და ქართული ოჯახები 1960-იან წლებში.

თეორიის ლიტერატურული მიმოხილვა: მრავალი წლის მანძილზე ამერიკელი ქალები განიცდიდენ გენდერულ დისკრიმინაციას. ისინი შეზღუდულნი იყვნენ ისეთ უფლებებში როგორიცაა კარიერის არჩევა, სწავლა, მუშაობა, ქონების ფლობა, ფინანსების კონტროლი და ხმის მიცემა არჩევნებში. ისინი განიხილებოდნენ როგორც სუსტი არსებები, რომელთაც სჭირდებოდად ძლიერი სქესის წარმომადგენლებისაგან

დაცვა და მზრუნველობა და ძირითადად მოიაზრებოდნენ როგორც დიასახლისები. თუმცა ფემინისტებმა და მათმა თავდაუდებელმა ბრძოლამ თავისუფლებისა და თანასწორობისათვის შეძლო გაენთავისუფლებია ქალები არსებული სტერეოტიპებისა და ნორმებისაგან და გაეხადა ამერიკა ბევრად უფრო დემოკრატიული ქვეყანა.

ფემინისტების თავდაუზოგავი ბრძოლის შედეგად ამერიკელ ქალებს შეუძლიათ მონაწლეობა მიიღონ არჩევნებში, ისწავლონ და იმოყვაწეონ თავიანთთვის საინტერესო სფეროში, გააკონტროლონ საკუთარი ფინანსები, მონაწილეობა მიიღონ სპორტულ თამაშებსა და შეჯიბრებებში, იცხოვრონ მეუღლისა თუ მამაკაცი მეურვის მეთვალყურეობის გარეშე, თავად მიიღონ გადაწყვეტილება თუ ვისთან და რა ასაკში შექმნან ოჯახი, გახდნენ მარტოხელბა დედები, უჩივლონ მოძალადეებს სექსუალური შევიწროებისათვის დაშ.

ტრადიციული ამერკული ოჯახი და ქალის როლი ოჯახსა და საზოგადოებაში 1960-იან წლებში:

ტრადიციულ ამერიკულ ოჯახად მოიაზრებოდა დაქორწინებული წყვილი, ქალი და მამაკაცი, და მათი ბიოლოგიური შვილები. ტრადიციისამებრ ოჯახში მკაცრად გადანაწილებული გენდერული როლები არსებობდა. კოლონიური პერიოდიდან მოყოლებული 1960 წლამდე მამაკაცი მუშაობდა და იყო ოჯახის მარჩენალი ხოლო ქალი დაკავებული იყო საოჯახო საქმიანობებით. 1960-იან წლამდე ოჯახების 70 პროცენტი შედგებოდა მარჩენალი მამის, დიასახლისი დედის და მათი ბიოლოგიური შვილებისაგან.

მეოცე საუკუნის შუა ხანებში ამერიკული ოჯახური ცხოვრება სტაბილურობით ხასიათდებოდა და განქორწინების კოეფიციენტი მხოლოდ 2.2 იყო. (ყოველ 1,000 გათხოვილ ქალზე) წყვილები საკმაოდ პატარა ასაკში ოჯახდებოდნენ. საშუალო ასაკი პირველი ქორწინებისთვის წარმოადგენდა 20 წელს ქალებსა და 23 წელს მამაკაცებში და ახალგაზრდების 72 პროცენტი ქორწინებაში იმყოფებოდა.

იქიდან გამომდინარე რომ სექსუალური ცხოვრების დაწყება და შვილების ყოლა ასოცირებული იყო ქორწინებასთან, ქორწინების გარეშე თანაცხოვრების (კოჰაბიტაციის) დონე იმდენად მცირე იყო რომ აშშ-ის სტატისტიკური აღწერის ბიურომ ვერც კი შეძლო მოეძია სტატისტიკა 1960-იანი წლებისათვის და მხოლოდ 1990-იან წლებიდან იქნა შესაძლებელი სტატისტიკის მოძიება. რაც შეეხება ქორწინებამდე თანაცხოვრებას მისი კოეფიციენტი მხოლოდ 11 პროცენტს წარმოადგენდა. აღსანიშნავია ქორწინების გარეშე შობადობის უაღესად დაბალი დონეც, რომელიც მხოლოდ 5 პროცენტს წარმოადგენდა 1960-იან წლებში.

ტრადიციული ქართული ოჯახი და ქალის როლი ოჯახსა და საზოგადოებაში 1960-იან წლებში

ქართველებისათვის ოჯახი ყოველთვის წარმოადგენდა უაღრესად მნიშვნელოვან და ღირებულ ინსტიტუტს. ქართველებისათვის ოჯახი ასოცირდებოდა დაქორწინებულ წყვილთან (ქალისა და მამაკაცის) და მათ ბიოლოგიურ შვილებთან. ქართული საზოგადოება უაღესად კრიტიკული იყო ქორწინების გარეშე ურთიერთობის, შესაბამისად ურთიერთობების და შობადობის უმეტესი წილი ქორწინებას ეფუძვნებოდა. შედეგად საქართველო გამოირჩეოდა ქორწინების მაღალი და განქორწინების დაბალი დონით, რომლის კოეფიციენტიც სულ რაღაც 0.4 პროცენტს წარმოადგენდა 1960-იან წლებში.

ქართული ოჯახი მკაცრად გაწერილი გენდერული როლებით ხასიათდებოდა. მამაკაცი მოიაზრებოდა როგორც ოჯახის მარჩენალი, შესაბამისად ოჯახის თავი და გადაწყვეტილების მიმღები. რაც შეეხება ქალებს, მათი მთავარი დანიშნულება იყო დაოჯახებულიყვნენ, გაეჩინათ შვიალები და ეზრუნათ ოჯახზე.

თავი 2. ტრადიციული ამერიკული ოჯახის ტრანსფორმაცია 1960-იანი წლებიდან დღემდე, ქალების წინსვლა და ქალების როლი ამერიკული ოჯახის ცვლილებებში.

მარჩენალი მამის, დიასახლისი დედისა და მათი ბიოლოგიური შვილებისაგან შექმნილი ოჯახი, რომელმლის „ოქროს ხანად“ 1950-იანი და ადრეული 1960-იანი წლები მოიაზრებოდა, საგრძნობლად შეიცვალა ბოლო რამოდენიმე ათწლეულის მანძილზე. ახალგაზრდები აღარ ჩქარობენ ოჯახის შექმნას, შესაბამისად დაქორწინების საშუალო ასაკი საგრძნობლად გაიზარდა როგორც მამაკაცებში (23 დან 27 მდე) ისევე ქალბატონებში. (20 დან 25 მდე) მკვეთრად გაიზარდა თანაცხოვრების, განქორწინების, ქორწინების გარეშე შობადობის და ერთსქესიაან წყვილთა რიცხვი. ქორწინებამდე თანაცხოვრების რიცხვი გაიზარდა 11 პროცეტიდან 56 პროცენტამდე 1960- 1990 წწ ხოლო თანაცხოვრებაში მყოფი წყვილების რიცხვი გაოზარდა 2.5 მილიონიდან 7.9 მილიონამდე 1994 -2014 წწ. მკვეთრად გაიზარდა განქორწინებისა (2.2 დან 9.2 მდე 1960-ანი წლებიდან 2009 წლამდე) და ქორწინების გარეშე შობადობის კოეფიციენტი (5 პროცენტიდან 40 პროცენტამდე 1960-იანი წლებიდან 2012 წლამდე). ყველაზე რადიკალური ცვლილება კი დაკავშირებულია ერთსქესიანთა ურთიერთობასთან. თუკი 1960-იან წლებში ჰომოსექსუალიზმი კრიმინალად ითვლებოდა, 2015 წლიდან ერთსქესიანთა ქორწინება ოფიციალურადაა შესაძლებელი ამერიკის ყველა შტატებში.

მკვეთრად შეიცვალა გენდერული როლები ოჯახში და გაიზარდა ქალთა ჩართულობა ქვეყნის სოციო-ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. მკვეთრადაა გაზრდილი უმაღლესი გაათლების მქონე, სამუშაო შფეროში, პოლიტიკასა და საკანონმდებლო ორგანოებში დაკავებული ქალბატონების რიცხვი. დღესდღეობით ქალები სულ უფრო და უფრო მეტ დროს ატარებენ სამსახურებში და ნაკლებ დროს ოჯახისა და ბავშვის მოვლაში, ხოლო მამაკაცები პირიქით, ნაკლებ დროს უთმობეს სამუშაოს და მეტ დროს ოჯახსა და ბავშვებს.

ტრადაციული ამერიკული ოჯახის ტრანსფორმაცია სახეზეა, თუმცა საინტერესოა ამ ცვლილებების გამომწვევი მიზეზების გამოვლენა. საკითხის სირთულიდან გამომდინარე, წარმოუდგენელია მხოლოდ ერთი მიზეზი არსებობდეს იმ რადიკალური ცვლილებებისა რაც ამერიკულმა ოჯახმა განიცადა, თუმცაღა სტატისტიკურ

მონაცემებზე დაყრდნობით თამამად შეიძლება ითქვას რომ ქალების სოციო-ეკონომიკურ და პოლიტუკურ ცხოვრებაში აქტიურმა ჩართულობამ დიდი ზეგავლენა მოახდინა ტრადიციულ ამერიკული ოჯახზე. მას შემდეგ რაც მოიმატა განათლებული, ფინანსურად დამოუკიდებელი, პოლიტიკასა და სოციო-ეკონომიკურ ცხოვრებაში აქტიურად ჩართული ქალების რიცხვმა, მით უფრო მეტით ქორწინების გარეშე თანაცხოვრების, განქორწინების, ქორწინების გარეშე შობადობის, მარჩენალი ქალების რიცხვი და მით უფრო ნაკლებია მარჩენალი მამების, ქორწინების და ზოგადი შობადობის რიცხვი. ქალების წინსვლამ გამოიწვია მათი თვითრწმენის და დამოუკიდებლობის ხარისხის ამაღლება. ფინანსურად დამოუკიდებელი ქალები თავისუფლად იწყებენ თანაცხოვრებას მათთვის სასურველ პარტნიორებთან ქორწინების გარეშე, ასრულებენ არასასურველ ქორწინებებს, აჩენენ შვილებს ქორწინების გარეშე და შესაბამისად ისინი შეიძლება თამამად მივიჩნიოთ „დამნაშავედ“ ტრადიციული ამერიკული ოჯახის ტრანსფორმაციაში.

ოჯახისა და გენდერული როლების ცვილებები შეიეძლება აიხსნას მარავლი თეორიის, მათ შორის ფემინისტური, უმეტესად კი რადიკალური და ლიბერალური ფემინიზმის თეორიის საფუძველზე. რადიკალური და ლიბერალური ფემინიზმის საერთო მახასიათებელი და გამაერთიანებელი ღერძია ქალის დისკრიმინაციის და მათი განთავისუფლების აუცილებლობის აღიარება. სხვადასხვა აქტიობებით, როგორიცაა მაგალიტად გამოსვლები, დემონსტრაციები თუ ლობიზმი, ფემინისტებმა მიაღწიეს თეორიის პრაქტიკაში მოყვანა. ფემინისტების სურვილი და მისწრაფება ხელმისაწვდომი ყოფილიყო ქალებისათვის ეკონომიკური თავისუფლება განხორციელდა ქალების ფართო ჩართულობით განათლებასა და დასაქმების სფეროში რამაც მათ მოუტანა ფინანსური დამოუკიდებლობა. მათი ქალებისათვის სექსუალური თავსუფლების მინიჭების სურვილი განხორციელებული იქნა ქორწინებამდე თანაცხოვრობის, განქორწინების, ქორწინების გარეშე შობადობისა და ლესბოსელების რიცხვის ზრდაში. ფემინისტების გენდერული თანასწორობის სურვილი განხორციელებული იქნა ოჯახში გენდერული როლების ცვლაში, როდესაც ქალები სულ

უფრო და უფრო მეტ დროს უთმობენ სამსახურს და ნაკლებს დროს უთმენენ საოჯახო საქმეებს და ბავშვებს, მაშინ როდესაც მამაკაცები სულ უფრო და უფრო ნაკლებ დროს უთმობენ სამსახურს და მეტ დროს საოჯახო საქმეებს და ბავშვებს. გაიზარდა მარჩენალი ქალებისა და უმუშევარი მამაკაცების რიცხვი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ტრადიციულ ოჯახში მომხდარი ცვლილებები წარმოადგენს ფემინისტური თეორიებისა და მოძღვრების ანარეკლს და მის პრაქტიკაში განხორციელებას.

თავი 3. 1960-იანი წლებიდან მომხდარი ცვლილებები ტრადიციულ ქართულ ოჯახში და ქალთა წინსვლა

ბოლო რამდენიმე ათწლეულის მანძილზე ქართულმა ტრადიციულმა ოჯახმა, ამერიკულის მსგავსად, მრავალი ცვლილებები განიცადა. შეიცვალა არა მარტო ტრადიციული ოჯახის სტრუქტურა, არამედ საზოგადოების დამოკიდებულება ოჯახთან დაკავშირებულ თემების მიმართ.

საგრძნობლად შერბილდა საზოგადოების აზრი ქორწინებასა და ქორწინების გარეშე თანაცხოვრების მიმართ. ქორწინება აღარ მოიაზრება ოჯახის შექმნისა თუ შვილერების ყოლის გარდაუვალ და მნიშვნელოვან ელემენტად. მიუხედავად ქორწინების ინსტიტუტის დაკნინებისა, ქორწინების კოეფიციენტი მაინც საკმაოდ მაღალია საქართველოში და 2016 წლისთვის თითქმის იმავე ნიშნულს მიაღწია რაც 1970-იანებში იყო. თუმცა საგრძნობლად გაიზარდა განქორწინების ნიშნული 0.4 დან 2.6 მდე 1960-2016წწ.

ცვლილებები შეეხო შობადობის კოეფიციენტსაც. 1980-იან წლებში გაიზარდა ეკლესიისადმი ლტოლვა და გახშირდა ჯვრისწერები და რელიგიურ ქორწინებაში შობადობა. ჯვარდაწერილ მაგრამ არარეგისტრირებულ ქორწინებაში შობადობის კოეფიციენტი საგრძნობლად გაიზარდა 4 პროცენტიდან 54 პროცენტამდე 2002 და 33 პროცენტამდე 2016 წწ. რაც შეეხება მარტოხელა დედებს, მათი კოეფიციენტი 1990-იან წლებში წარმოადგენდა 4.5-ს, 2006წ 5.1-ს ხოლო 2016 წ. 2.4-ს. მიუხედავად იმისა რომ

ქორწინება აღარ მოიაზრება როგორც აუცილებელი ელემენტი შვილების ყოლისათვის, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ქართველი ქალები მაინც ერიდებიან შვილების გაჩენას პარტნიორისა და მინიმუმ თანაცხოვრებაში მყოფი სტატუსის გარეშე.

რაც შეეხება ერთაქესიანთა ურთიერთობას, ქართული საზოგადოება ინარჩუნებს კრიტიკულ და კონსერვატიულ დამოკიდებულებას ზემოდმოხსენებული საკითხისადმი და ჰომოსექსუალიზმს მიიჩნევს გარყვნილებად და ცოდვად.

ცვლილებები შეინიშნება ოჯახში გენდერული როლებისადმი დამოკიდებულებებშიც. კაცი აღარ მოიაზრება მთავარ გადაწყვეტილების მიმღებად თანამედროვე ოჯახში და უმრავლესობას მიაჩნიათ, რომ გადაწყვეტილების მიღების პროცესში ორივე მეუღლე უნდა იყოს თანაბრად ჩართული. თუმცა, მარჩენალის როლი კვლავ კაცთან ასოცირდება.

თვალშისაცემი ცვლილებები განიცადა ქალთა ჩართულობამ ქვეყნის სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. ბოლო ათწლეულების მანძილზე მკვეთრად გაიზარდა ქალთა მონაწილეობა განათლების, სამუშაოსა და პოლიტიკის სფეროში. უფრო მეტიც, 1990-იანი წლების ეკონომიკური კრიზისის დროს, ოჯახების გამოკვების მიზნით მოხდა ქალთა მასიური მიგრაცია საზღვარგარეთ, რის შედეგადაც ქალები ხშირ შემთხვევაში ოჯახის მთავარი მარჩენალები გახდნენ.

როგორც სტატისტიკადან ჩანს, ქართულ ოჯახში მომხდარი ცვლილებები საგრძნობლად გავს ამერიკულ ოჯახში მომხდარ ცვლილებებს. ორივე შემთხვევაში აღინიშნება ქორწინების გარეშე თანაცხოვრების და განქორწინების რიცხვის ზრდა და ქორწინების მაჩვენებლებსა(განსაკუთრებით აშშ-ს შემთხვევაში) და შობადობის მკვეთრი შემცირება, თუმცა ქართულ ოჯახში მომხდარი ცვლილებები არ არის ისეთი რადიკალური, როგორც აშშ-ს შემთხვევაში. მსგავსება შეინიშნება ქალთა სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ გაძლიერებაშის. აღსანიშნავია, რომ აშშ-ში ქალთა წინსვლა 1960-იან წლებში დაიწყო ფემინისტი ქალების თანასწორობისათვის აქტიური ბრძოლის შედეგად. საქართველოში კი, რაც არ უნგა გასაკვირი იყოს, ქალთა ფინანსური დამოუკიდებულების მოპოვებაში დიდი როლი ითამაშა 1990-იანი წლების

ეკონომიკურმა კრიზისმა, რის შედეგადაც მრავალი ქალი ოჯახის გამოკვების მიზნით სამუშაოდ გაემგზავრა საზღვარგარეთ და ხშირ შემთხვევაში იქცნენ ოჯახის მარჩენალებად. ფინანსური დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ მათ დაიწყეს დაეფასებიათ თავიანთი შრომა და მარჩენლის პოზიციები. ყოველივე ამან გამოიწვია მარჩენალი, ოჯახის უფროსი და მთავარი გადაწყვეტილების მიმღები მამისა და დიასახლისი დედის სტერეოტიპების ნგრევა.

თავი 4. კითხვარის ანალიზი: რესპონდენტთა დემოგრაფიული მონაცემები და მათი დამოკიდებულება ოჯახთან დაკავშირებული საკითხების მიმართ ორივე სამიზნე ქვეყანაში: აშშ-სა და საქართველოში.

შესავალი: კვლევის ფარგლებში ჩატარდა რაოდენობრივი და ხარისხობრივი კვლევა Google Drive- ის მეშვეობით. კითხვარი გადაეგზავნა შემთხვევით შერჩეულ 92 რესპონდენტს, 46 ამერიკელს და 46 ქართველს რომელთა ასაკიც იყო 18+. ამერიკელი რესპოდენტების მოძიებასში დიდი დახმარება გამიწიეს ამერიკაში მცხოვრებმა ემიგრანტებმა. რამოდენიმე მათგანს კი პირადად ვიცნობ. ქართველი რესპოდენტებისთვის კი ქართული ვარიანტიც იყო ხელმისაწვდომი რადგან ყველა რესპოდენტი არ ფლობდა ინგლისურ ენას.

კვლევის პირველი ნაწილი მიზნად ისახავდა რესპოდენტების დემოგრაფიული და ოჯახთან კავშირებული ინფორმაციის მოპოვებას რათა მივიგვეღო ზოგადი სურათი ამერიკული და ქართული ოჯხებისა და ბოლო ათწლეულების მანძილზე ოჯახში მომხდარ ცვლილებებზე. კვლევა არ ისახავდა მიზნად რესპოდენტების დაყოფას რელიგიური, ეთნიკური და კლასობრივი ნიშნით. კვლევის მეორე ნაწილი მიზნად ისახავდა რესპოდენტების დამოკიდებულების გარკვევას ისეთ თემებთან დაკავშირებით როგორიცაა ქორწინების გარეშე თანაცხოვრება, ქორწინების ინსტიტუტი, ქორწინების გარეშე შობადობა, ერთსქსიანთა ურთიერთობა, ქალის როლი ოჯახში და სხვა.

მეთოდი: კვლევა ჩატარდა ონლაინ კითხვარის გამოყენებით, რომელიც მოიცავდა ძირითადად დახურულ კითხვებს. ყველა გამოკითხულს მიეწოდა ელექტრონული ბმულები კითხვარისთვის, რათა უზრუნველყოფილი ყოფილიყო ჰომოგენური პირობები მონაცემთა შეგროვებისათვის.

გამოკითხულთა დემოგრაფიული მონაცემები

კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ ორივე ეროვნების მონაწილეთა უმრავლესობა წარმოადგენდა 31-45 წლის ასაკობრივ ჯგუფს. ორივე ეროვნების რესპონდენტთა უმრავლესობა დაქორწინებულია, თუმცა ქორწინების გარეშე თანაცხოვრებისა და დაშორების უფრო მეტი შემთხვევები ამერიკელ რესპონდენტებში დაფიქსირდა, ხოლო განქორწინების უფრო მეტი შემთხვევები ქართველებს შორის. განმეორებითი ქორწინების რაოდენობა კი თანაბარი აღმოჩნდა.

განქორწინების, ხელმეორედ ქორწინებისა, თანაცხოვრების და ქორწინების გარეშე შობადობის უფრო მეტი შემთხვევები დაფიქსირდა რესპოდენტების ვიდრე მათი მშობლების შემთხვევაში ორივე ქვეყანაში.

რაც შეეხება რესპონდენტთა განათლების დონეს, მონაწილეთა უმრავლესობა უმაღლეს საგანმანათლებლო ხარისხს ატარებს, თუმცა უფრო მეტი ქართველი ფლობს მაგისტრის ან დოქტორის ხარისხი, ვიდრე ამერიკელი. რაც შეეხება მონაწილეთა დასაქმების დონეს, მათი უმრავლესობა სრულ განაკვეთზეა დასაქმებული ორივე სამიზნე ქვეყანაში. დაოჯახებულ რესპოდენტების უმრავლესობში კი ორივე მეუღლე დასაქმებულია. საინტერესოა, რომ ამერიკაში უფრო მეტი მარჩენალი ქალბატონების რიცხვი დაფიქსირდა ვიდრე საქართველოში.

რესპონდენტთა დამოკიდებულება ოჯახთან დაკავშირებულ საკითხებზე:

კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ რესპონდენტების უმრავლესობა აღიარებს ცვლილებებს ტრადიციულ ოჯახში. მათი აზრით თანამედროვე ოჯახებში უფრო მეტია ქორწინების გარეშე თანაცხოვრებისა და განქორწინების შემთხვევები ხოლო შემცირდა შობადობის

დონე. მოიმატა მარჩენალ დედებისა და ერთსქესიან წყვილებთა რიცხვმა (აშშ-ს შემთხვევაში) ამერიკელი მონაწილეების უმეტესობა მიიჩნევს რომ ქრწინების ინსტიტუტმა დაკარგა მისი მნიშვნელოვანება და შეიძლება ჩანაცვლდეს სხვა სახის ურთიერთობით, თუმცა ქართველი მონაწილეების უმრავლესობისათვის კვლავაც მნიშვნელოვანი და ჩაუნაცვლებელია ქორწინების ინსტიტუტი.

რესპონდენტის უმრავლესობა გამოხატავს რბილ და დადებით დამოკიდებულებას ისეთი საკითხების მიმართ, როგორიცაა ქორწინების გარეშე თანაცხოვრება, განქორწინება, განქორწინების გარეშე შობადობა. რესპოდენტების უმეტესობისათვის აბსოლიტურად მისაღებია ოჯხის ტიპი, სადაც ორივე მეუღლე მუშაობს და ინაწილებს სახლის საქმეებს და ბავშვებზე ზრუნვის პასუხისმგებლობას. ამერიკელმა რესპონდენტებმა ასევე დააფიქსირეს ერთსქესიან წყვილებისადმი პოზიტიური დამოკიდებულება, თუმცა ქართველი რესპონდენტებისათვის კატეგორიულად მიუღებელია ჰომოსექსუალიზმი.

ძირითადი დასკვნები

 კვლევის შედეგად მიღებულმა შედეგებმა დაადასტურა, რომ მშობლებთან შედარებით განქორწინების, ხელმეორედ ქორწინებისა და ქორწინების გარეშე თანაცხოვრების უფრო მეტი შემტხვევები აღინიშნება ორივე ეროვნების მონაწილეთა ოჯახურ მდგომარეობაში.

 ნაკლები ბავშვები იბადებიან თანამედროვე ოჯახებში, ვიდრე მეოცე საუკუნის შუა ხანებში. თუმცა, დღევანდელი კვლევის თანახმად, შვილების რაოდენობა ნაკლებია ქართველ ვიდრე ამერიკულ ოჯახში.

 კვლევის მიხედვით ბოლო ათწლეულების მანძილზე გაიზარდა რეგისტრირებული ქორწინების გარეშე შობადობის შემთხვევები ორივე ქვეყანაში.

 შედეგების თანახმად ბოლო ათწლეულის განმავლობაში მკვეთრად გაიზარდა განათლების დონე როგორც ქალებში ასევე კაცებში ორივე ქვეყნაში. აშშ-ს შემტხვევაში, უფრო მეტი კაცი, ვიდრე ქალი ფლობს მაგისტრისა და დოქტორის ხარისხს, თუმცა

საქართველოს შემთხვევაში უფრო მეტ ქალს, ვიდრე კაცს აქვთ მაგისტრის ხარისხი და ოდნავ მეტი კაცი, ვიდრე ქალი არის დოქტორის ხარისხის მფლობელი.

 რესპონდენტების აბსოლიტური უმრავლესობა დასაქმებულია და მათი უმრავლესობა წარმოადგენს ორმაგ-შემოსავლიან(Dual income family) ოჯახს, სადაც ცოლიც და ქმარიც არის დასაქმებული და თავისი წვლილი შეაქვს ოჯახის ბიუჯეტში.

 კითხვარის თანახმად საგრძნობლივ შეიცვალა საზოგადოების დამოკიდებულება ოჯახთან დაკავშირებული საკითხების მიმართ. გამოკითხულთა უმრავლესობისათვის აბსოლიტურად მისაღებია განქორწინება, ხელმეორედ ქორწინება, ქორწინების გარეშე შვილების გაჩენა, ქალთა აქტიური ჩართულობა სოციო-ეკონომიკურ ცხოვრებაში. თუმცაღა განსხვავება იგრძნობა ქართველ და ამერიკელ რესპოდენტების შეხედულებებს შორის ისეთი საკითხების მიმართ როგორიცაა ქორწინების ინსტიტუტი და ერათსქესიანთა ქორწინება. ამერიკელები ბევრად უფრო ტოლერანტულნი არიან ქორწინების ინსტიტუტის სხვა სახის ურთიერთობით ჩანაცვლების მიმართ, როგორიცაა მაგალითად ქორწინების გარეშე თანაცხოვრება, ვიდრე ქართველები, რომლებიც ჯერ კიდევ განიხილავენ ქორწინების ინსტიტუტს, როგორც მნიშვნელოვანს და შეუცვლელს. გარდა ამისა, ქართველი მონაწილეების დიდმა უმრავლესობამ გამოავლინა უარყოფითი დამოკიდებულება ერთსქესიანთა ქორწინების მიმართ, ხოლო ამერიკელი რესპონდენტების უმრავლესობისათვის ერთსქესიანთა ქორწინება მისაღები აღმოჩნდა.

 რესპონდენტების უმრავლესობა აღიარებს, რომ ქალების როლის ზრდა ოჯახში, მათი ჩართულობა გადაწყვეტილებების მიღებაში და ზოგ შემთხვევაში მარჩენლის ფუნქციის შეთავსებაც, ძირითადად გამოწვეულია ქალთა განათლების დონის ზრდითა და მათი ფინანსური დამოუკიდებლობით, ისევე როგორც გენდერული თანასწორობით.

 კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ ამერიკელი რესპონდენტების უმრავლესობისთვის ქალი / მეუღლე თანამედროვე ეპოქაში უნდა იყოს მეუღლის თანასწორი, განათლებული და მეუღლის მოყვარული, რომელიც თანაბრად ინაწილებს ფინანსურ ვალდებულებებს. რაც შეეხება ქართველ მონაწილეებს, მათი უმრავლესობისათვის თანამედროვე ცოლი

უნდა იყოს განათლებული და თანასწორი, წარმატებული თავის კარიერაში და რა თქმა უნდა მეუღლის მოყვარული.

 მიუხედავად იმისა, რომ მნიშვნელოვანი ცვლილებები შეინიშნება ოჯახურ ურთიერთობებში, რესპონდენტების დიდი უმრავლესობა კვლავაც მიიჩნევს პატივისცემასა და ურთიერთგაგებაზე დაფუძნებულ ქორწინებაში მყოფ წყვილს , იდეალური ტიპის ოჯახად.

დასკვნა და რეკონსტრუქციები

ოჯახი ყოველთვის წარმოადენდა მნიშვნელოვან ინსტიტუტს ყველა ქვეყანაში, მათ შორის ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საქართველოში. თუმცაღა ერთ დროს სტაბილურმა ოჯახის ინსტიტუტმა მრავალი ცვლილება განიცადა 1960-იანი წლებიდან მოყოლებული ამერიკაში და დღესაც განაგრძობს განვითარებას, ფორმირებასა და განახლებას. ტრადიციული ამერიკული ოჯახის ცვლილებები დადასტურდა არა მარტო მეორადი არამედ პირველად წყაროებითაც, რომლებიც მოპოვებული იქნა ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების, მკვლევარებისა თუ ექსპერტების ნაშრომებისაგან ისევე როგორც დისერტაციის ფარგლებში ჩატარებული კვლევისაგან.

სხვადასხვა პირველად და მაორად წყაროებზე დაყრდნობით თამამად შეიძლება ითქვას, რომ 21-ე საუკუნის ამერიკული ოჯახი მკვეთრად განსხვავდება 1950- იანი წლების ტრადიციული ამერიკული ოჯახისაგან, რომელიც შედგებოდა დაოჯახებული წყვილისა და მათი შვილებისაგან, სადაც მკაცრად იყო გადანაწილებული გენდერული როლები მარჩენალი მამისა და დიასახლისი დედს. ასეთი ტიპის ოჯახი დღესდღეობით აღარ წარმოადგენს ძირითად ბირთვს. აღსანიშნავია, რომ დრესდღეობით ქორწინება აღარ მოიაზრება სავალდებულო ნაბიჯად ინტიმური ურთიერთობისა თუ შვილების გაჩენისათვის. გაიზარდა საშუალო ასაკი პირველი ქორწინებისათვის როგორც ქალებში ისევე მამაკაცებში. ამავდროულად საგრძნობლად გაიზარდა ქორწინებამდე თანაცხოვრების, ქორწინების გარეშე თანაცხოვრებაში მყოფი წყვილების და განქორწინების რიცხვი. (2.2 დან 9.2 მდე 1960-2009 წწ) მკვეთრად გაიზარდა ქორწინების

გარეშე შობადობა 5 პროცენტიდან 40 პროცენტამდე 1960-2012წწ. გარდა ამისა 2015 წლიდან ამერიკის ყველა შტატში ნებადართული გახდა ერთსქესიანთა ქორწინება, მაშინ როდესაც 1960-იან წლებში ერთსქესიანთა კავშირი დანაშაულად ითვლებოდა.

საგრძნობლივ შეიცვალა გენდერული როლების გადანაწილება ოჯახში, ისევე როგორც საზოგადოების აზრი ოჯახთან დაკავშირებული საკითხების მიმართ. დღესდღეობით ქალები სულ უფრო და უფრო მეტ დროს ატარებენ სამსახურებში და ნაკლებ დროს ოჯახისა და ბავშვის მოვლაში, ხოლო მამაკაცები პირიქით, ნაკლებ დროს უთმობენ სამუშაოს და მეტ დროს ოჯახსა და ბავშვებს. გაიზარდა მარჩენალი დედებისა და სახლში უმუშევრად მყოფი მამების რიცხვი. აღსანიშნავია, რომ ამერიკული საზოგადოება ბევრად უფრო ტოლერანტული გახდა ისეთი საკითხდების მიმართ, როგორიცაა ქორწინების გარეშე თანაცხოვრება და შობადობა, განქორწინება და ერთსქესიანთა ურთიერთობა.

სხვადასხვა წყაროებზე დაყრდნობით ასევე დადასტურდა 1960-იანი წლებიდან ქალების აქტიური მონაწილეობის ზრდა ქვეყნის სოციო-ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ნაშრომი ეყრდნობა გენდერულ თეორიებს და განიხილავს 20-ე საუკუნის ფემინისტური მოძრაობის სამ ტალღას. წარმოუდგენელია არ ვახსენოთ ფემინისტი ქალების როლი ქვეყნის სოციო-ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში ქალთა მონაწილეობის ზრდაში. ფემინისტების თავდაუზოგავი ბრძოლის შედეგად ამერიკელ ქალებს შეუძლიათ მონაწლეობა მიიღონ არჩევნებში, ისწავლონ და იმოყვაწეონ თავიანთთვის საინტერესო სფეროში, გააკონტროლონ საკუთარი ფინანსები, მონაწილეობა მიიღონ სპორტულ თამაშებსა და შეჯიბრებებში, იცხოვრონ მეუღლისა თუ მამაკაცი მეურვის მეთვალყურეობის გარეშე, თავად მიიღონ გადაწყვეტილება თუ ვისთან და რა ასაკში შექმნან ოჯახი, გახდნენ მარტოხელბა დედები, უჩივლონ მოძალადეებს სექსუალური შევიწროებისათვის დაშ. ფემინისტების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიღწევად შეიძლება

ჩაითვალოს მკაცრი გენდერული როლების , მარჩენალი ქმარისა და დიასახლისი ცოლის უგულვებელყოფა.

ტრადიციული ამერიკული ოჯახის ცვლილება, ქალთა როლის ზრდა და საზოგადოების შერბილებული დამოკიდებულება ოჯახთან დაკავშირებული საკითხების მიმართ დადასტურდა მიმდინარე კვლევის შედეგადაც. კვლევის მიზანი იყო კვლევის მონაწილეების დემოგრაფიული მონაცემების მოპოვება და მათი დამოკიდებულების გაგება ოჯახთან დაკავშირებული საკითხების მიმართ.

კვლევის ფარგლებში მოხდა რესპოდენტების და მათი მშობლების ოჯახური მდგომარეობების შედარება, რათა გამოვლენილიყო სხვაობა თანამედროვე და რამდენიმე ათწლეულის წინ შექმნილ ოჯახებს შორის. კვლევამ აჩვენა, რომ თანამედროვე ოჯახებმა (წარმოდგენილი რესპოდენტების მიერ) მეტი მრავალფეროვნება გამოავლინეს ვიდრე რამდენიმე ათწლეულის წინ შექმნილმა ოჯახებმა .(წარმოდგენილი მშობლების მიერ)წინა ათწლეულებთან შედარებით ბოლო ათწლეულების მანძილზე დაშორების, განქორწინების, ქორწინების გარეშე თანაცხოვრების და ქორწინების გარეშე შობადობის უფრო მეტი შემტხვევები დაფიქსირდა როთაც კვლავ დამტკიცდა ცვლილებები ტრადიციული ამერიკული ოჯახის მოდელში.

მიმდინარე კვლევამ აგრეთვე გამოავლინა ქალბატონების აქტიური მონაწილეობა სოციო-ეკონომიკურ ცხოვრებაში. რესპოდენტების უმრავლესობას, როგორც ქალებს ასევე მამაკაცებს, უმაღლესი განათლება აქვს და დასაქმებულია.

შეიძლება ითქვას, რომ ქალებმა, რომელთა წინსვლა დამტკიცებულია როგორც პირველადი ისე მეორადი წყაროების მიხედვით, მოიპოვეს რა ფინანსური დამოუკიდებლობა, ბიძგი მისცეს ტრადიციული ამერიკული ოჯახის ცვლილებებს რითაც დაამტკიცდა ჩვენი ჰიპოთეზა. სტატისტიკაზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას , რომ როგორც კი დაიწყო ქალების სოციო-ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში წინსვლა ამერიკულმა ოჯახმაც დაიწყო ტრანსფორმაცია. ფინანსურად დამოუკიდებელი

ქალები თავისუფლად იწყებენ თანაცხოვრებას მათთვის სასურველ პარტნიორებთან ქორწინების გარეშე, ასრულებენ არასასურველ ქორწინებებს, აჩენენ შვილებს ქორწინების გარეშე და შესაბამისად ისინი შეიძლება თამამად მივიჩნიოთ „დამნაშავედ“ ტრადიციული ამერიკული ოჯახის ტრანსფორმაციაში.

შედარებით კვლევაზე დაღრდნობით გამოვლენილია ქართილი და ამერიკული ოჯახის ცვლილებებს შორის როგორც მსგავსებები, ასევე განსხვავებები. პირველად და მეორად წყაროებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ მსგავსი, მაგრამ არა იგივე ტენდეციები შეინიშნება ქართული ოჯახის შემთხვევაში. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო ათწლეულის განმავლობაში ქართული ოჯახი საგრძნობლად შეიცვალა, ცვლილებები არ არის ისეთი რადიკალური და თვალშისაცემი როგორც ამერიკული ოჯახის შემტხვევაში. ამერიკული ოჯახისაგან განსხვავებით, სადაც ცვლილებებს ძირითადად დიაგონალური ფორმა აქვს და მკვეთრი ზრდით ან შემცირებით ხასიათდება, ქართული ოჯახის ცვლილებები უფრო კარდიოგრამის სურათს გავს და ციფრები პერიოდული ზრდითა თუ შემცირებებით ხასიათდება.

ტრადიციული ქართული ოჯახი, ამერიკული ოჯახის მსგავსად, ასოცირდებოდა დაქორწინებულ წყვილთან (ქალისა და მამაკაცის) და მათ ბიოლოგიურ შვილებთან. ქართული საზოგადოება უაღესად კრიტიკული იყო ქორწინების გარეშე ურთიერთობის, შესაბამისად ურთიერთობების და შობადობის უმეტესი ნაწილი ქორწინებას ეფუძვნებოდა. შედეგად საქართველო გამოირჩეოდა ქორწინების მაღალი და განქორწინების დაბალი დონით, რომლის კოეფიციენტიც სულ რაღაც 0.4 პროცენტს წარმოადგენდა 1960-იან წლებში. ქართული ოჯახი, ამერიკულის მსგავსად, მკაცრად გაწერილი გენდერული როლებით ხასიათდებოდა. მამაკაცი მოიაზრებოდა ოჯახის მარჩენალად, შესაბამისად ოჯახის თავად და გადაწყვეტილების მიმღებად. რაც შეეხება ქალებს, მათი მთავარი დანიშნულება იყო დაოჯახებულიყვნენ, გაეჩინათ შვიალები და ეზრუნათ ოჯახზე.

ბოლო ათწლეულების მანძილზე ქართულმა ოჯახმა, ამერიკულის მსგავსად, მრავალი ცვლილებები განიცადა. პირვალედ და მეორად წყაროებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ ცვლილბები განიცადა არა მარტო ტრადიციული ოჯახის სტრუქტურამ არამედ საზოგადოების დამოკიდებულებამაც ოჯახთან დაკავშირებული თემების მიმართ.

ქართული საზოგადოების აზრი ქორწინებისა და ქორწინების გარეშე თანაცხოვრების მიმართ საგრძნობლად შეიცვალა. ქორწინება აღარ მოიაზრება თანაცხოვრებისა და შვილების გაჩენისათვის აუცილებელ პირობად, თუმცაღა უნდა აღინიშნოს, რომ ქორწინების ხვედრითი წილი მაინც საკმაოდ მაღალია და და ოდნავ ჩამოუვარდება 1970-იანების ნიშნულს.

საგრძნობლად გაიზარდა განქორწინების კოეფიციენტი 0.4 დან 2.6 მდე 1960-2016 წწ.ცვლილებები შეეხო შობადობის კოეფიციენტსაც. 1980-იან წლებში გაიზარდა ეკლესიისადმი ლტოლვა და გახშირდა ჯვრისწერები და რელიგიურ ქორწინებაში შობადობა. ჯვარდაწერილ მაგრამ არარეგისტრირებულ ქორწინებაში შობადობის კოეფიციენტი საგრძნობლად გაიზარდა 4 პროცენტიდან 54 პროცენტამდე 2002 და 33 პროცენტამდე 2016 წწ. რაც შეეხება მარტოხელა დედებს, მათი კოეფიციენტი 1990-იან წლებში წარმოადგენდა 4.5-ს, 2006წ 5.1-ს ხოლო 2016 წ. 2.4-ს. მიუხედავად იმისა რომ ქორწინება აღარ მოიაზრება როგორც აუცილებელი ელემენტი შვილების ყოლისათვის, შეიძლება ვივარაუდოთ რომ ქართველი ქალები მაინც ერიდებიან შვილების გაჩენას პარტნიორისა და მინიმუმ თანაცხოვრებაში მყოფი სტატუსის გარეშე.

რაც შეეხება ერთაქესიანთა ურთიერთობას, ქართული საზოგადოება ინარჩუნებს კრიტიკულ და კონსერვატიულ დამოკიდებულებას ზემოდ მოხსენებული საკითხისადმი და ჰომოსექსუალიზმს მიიჩნევს გარყვნილებად და ცოდვად.

ცვლილებები შეინიშნება ოჯახში გენდერული როლების მიმართ დამოკიდებულებებზეც. მამაკაცი აღარ მოიაზრება როგორც მთავარი გადაქყვეტილების მიმღები თანამედროვე ოჯახში და უმრავლესობას მიაჩნიათ, რომ გადაწყვეტილების

მიღების პროცესში ორივე მეუღლე უნდა იყოს თანაბრად ჩართული. თუმცა, მარჩენალის როლი კვლავ ასოცირდება მამაკაცებთან.

თვალშისაცემელი ცვლილებები განიაცდა ქალთა ჩართულობამ ქვეყნის სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. ბოლო ათწლეულების მანძილზე მკვეთრად გაიზარდა ქალთა მონაწილეობა განათლების, სამუშაოსა და პოლიტიკის სფეროში. უფრო მეტიც, 1990-იანი წლების ეკონომიკური კრიზისის დროს, ოჯახების გამოჯვების მიზნით მოხდა ქალთა მასიური მიგრაცია საზღვარგარეთ მიგრაცია რის შედეგადაც ქალები ხშირ შემთხვევაში ოჯახის მთავარი მარჩენალები გახდნენ.

ქართული ოჯახის, გენდერული როლებისა და ოჯახთან დაკავშირებული თემების მიმართ საზოგადოების დამოკიდებულების ცვლილებები დამტკიცდა ჩვენი კვლევის შედეგადაც. კვლევის თანახმად ქართველ რესპოდენტების უმეტესობა დასაოჯახებელი ან დაოჯახებულია. მშობლების ოჯახურ სტატუსთან შედარებით რესპოდენტების ოჯახური მდგომარეობა მეტი მრავალფეროვანებით ხასიათდება. დაშორების, განქორწინების, ქორწინების გარეშე თანაცხოვრებისა თუ ქორწინების გარეშე შობადობის უფრო მეტი შემთხვევები დაფოქსირდა თანამედროვე ოჯახებში (წარმოდგენილი რესპოდენტების მიერ) ვიდრე რამდენიმე ათწლეულის წინ შექმნილ ოჯახებში (წარმოდგენილი რესპოდენტების მშობლების მიერ). ამავდროულად გამოვლინდა, რომ თანამედროვე ოჯახებში უფრო ნაკლები შვილები ყავთ ვიდრე ათწლეულების წინ შექმნილ ოჯახებში. ყოველივე ზემოდხსენებულით კვლავაც დადასტურდა ცვლილებები ქართულ ოჯახში. კვლევამ ოჯახთან დამოკიდებულ თემების მიმართ საზოგადოების დამოკიდებულების ცვლილებებიც გამოავლინა. მიუხედევად იმისა, რომ რესპოდენტების უმრავლეობა ოჯახის ინსტიტუტს კვლავაც ძალიან მნიშვნელოვანად მიიჩნევს, გამოკითხულთა აბსოლიტურმა უმრავლესბობამ ტოლერანტული დამოკიდებულება გამოავლინა განქორწინების, ქორწინების გარეშე შობადობისა და ქორწინების გარეშე თანაცხოვრების მიმართ. თუმცაღა, რესპოდენტების უმრავლესობამ კვლავაც მიუღებლად მიიჩნია ერთსქესიანთა ქორწინება.

აღსანისნავია, რომ ქალ რესპოდენტთა უმრავლესობას ბაკალავრის ან მაგისტრის ხარისხი აქვს და უფრო მეტი ქალბატონი აღმოჩნდა დოქტორის ხარისხის მქონე ვიდრე მამაკაცი. ამავდროულად ქალბატონების უმრავლესობა მთლიან განაკვეთზე დასაზმებულია რითიც დაინგრა ქართულ საზოგადოებაში ღრმად ჩაბეჭდილი მარჩენალი მამისა და დიასახლისი დედის სტერეოტიპი.

სხვადასხვა წყაროებზე და მიმდინარე კვლევაზე დაყრდნობით შეიძლება მივიდეთ იმ დასკვნამდე, რომ ქალთა წინსვლამ და აქტიურმა ჩართულობამ ქვეყნის სოციო-ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში მისცა მათ დამოუკიდებლობა და შესაბამისად შეამცირა ქალების დამოკიდებულება ქმრებზე და სხვა ოჯახის წევრებზე. უფრო მეტიც, როგორც სხვადასხვა წყაროებმა აჩვენა, 1990 -ანი წლების ეკონომიკური კრიზისის დროს ქალთა სამუშაო მიგრაციამ მრავალი ქალი გახადა ოჯახის მარჩენალი. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ ფინანსურად დამოუკიდებელმა ქალბატონებმა, რომელთაც შეეძლოთ თავიანთი თავებისა და შვილების რჩენა, დაიწყეს არსებული სტერეოტიპებისაგან განთავისუფლება და მათი საჭიროებებისა და სურვილების შესაბამისი ტიპის ოჯახების შექმნა. მოახდინეს რა სოციალური სტიგმების იგნორირება, დამოუკიდებელი და თვითრეალიზებული ქართველი ქალბატონები თავისუფლად ანგრევენ მათთვის არასასურველ ქორწინებებს და ერთვებიან თავიანთი და თავიანთი შვილების საჭიროებებს მორგებულ ურთიერთობებში.

საბოლოო ჯამში შეიძლება ითქვას, რომ ქალთა სოციო-ეკონომიკური და პოლიტიკური წინსვლა, ოჯახის ტიპების ცვლილება, როგორიცაა: განქორწინებისა და ქორწინების გარეშე თანაცხოვრების რიცხვის ზრდა (ამერიკის შემთხვევაში მარტოხელა დედების რიცხვის მკვეთრი ზრდა), ქორწინებისა და ზოგადი შობადობის დონის კლება და საზოგადოების ლოიალური დამოკიდებულების აშკარა ზრდა ოჯახთან დაკავშირებული საკითხების მიმართ დამტკიცდა ორივე, პირველადი და მეორადი წყაროებითა და მიმდინარე კვლევით ორივე სამიზნე ქვეყანაში, ამერიკასა და საქართველოში. აგრეთვე გამოვლინდა ქალების ზეგავლენა ოჯახის ტიპის ცვლილებაში

ორივე სამიზნე ქვეყანაში, რამაც დაამტკიცა ჩვენი ჰიპოთეზა, რომ ქალები, რომლებმაც მოიპოვეს პოლიტიკური, ეკონომიური და სოციალური დამოუკიდებლობა და დაწინაურდნენ თითქმის ყველა სფეროში, გახდნენ თანამედროვე ოჯხის მნიშვნელოვანი მამოძრავებელი ძალა და ამავდროულად მოგვევლინენ როგორც ტრადიციული ოჯახის ინსტუტუტის დაკნინების მთავარი ფიგურები ორივე სამიზნე ქვეყანაში, ამერიკასა და საქართველოში.

რეკომენდაციები: მწირეა ქორწინების გარეშე მცხოვრები წყვილების, მარტოხელა დედებისა და ერთსქესიან წყვილთა სტატისტიკური მონაცემები საქართველოში. იმისათვის რომ დანახული იქნას თანამედროვე ქართულ ოჯახში მიმდინარე ტენდენციები რეკომენდირებულია ამ მიმართულებით მუშაობა.

პუბლიკაციების სია:

1. Gogberashvili, S. (2016). How Has American Family Changed During the Last Five Decades. Journal in Humanities; ISSN: 2298-0245; e-ISSN: 2346-8289, Volume 5, Issue 1, 2016, pp. 33-36.

2. Gogberashvili, S. (2015). Unmarried Cohabitation as a “Socially Sanctioned” Replacement of Marriage? Journal in Humanities; ISSN 2298-0245; Volume 4, Issue 2, 2015; pp.27-30

3. Gogberashvili, S. (2014). The Role of a Woman in the Family and Society in Mona Lisa Smile. Journal in Humanities; ISSN 2298-0245; Volume 3, Issue 2, 2014; pp.15-17

4. Gogberashvili, S. (2014) Changing parental Roles in American Family. 7th International Conference on American Studies; pp.16-22

5. Gogberashvili, S. (2013) Power of Women Voters in American Politics in the Last Decade. 6th International Conference on American Studies; pp. 80-86